

საქართველო  
იზაიროთეკა

# ნეშადურნი



№ 29

ს ა მ მ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ ი უ რ ნ ა ლ ი

№ 29

1907: VIII: 30

არ არის მედარი, ვნე მოჭყდეს  
და ხალხს შესწიროს დღენია,  
მედრად იგი თქმულა, ვისაც აქ  
სახელი არ დაჩვენია!..




## ს ა მ მ ო ზ ლ ო

(გუძღენი ი. კავბავაძეს)

\* \* \*

კავკასიის მთას  
ნისლით მობურულს  
ის მიყრდნობოდა  
ჩაფიქრებული,  
მაგარის ხუნდით  
ხელ-ფეხ შეჯაჭულს  
ნაგვემ მკერდის ქვეშ  
უკვნესდა გული!  
გარს ეხეოდა  
შავი ღრუბელი,  
არწივი ძუძუს  
ჩასკიდებოდა,  
და ის კი შვილებს  
გაქსუებულებს  
თავის სახსნელოდ  
ელოდებოდა!  
მაგრამ სიჩუმე  
იყო პასუხი,  
ირველივე დუმილი—  
„ვით მკედართა ძილი“  
მხოლოდ ისმოდა  
კვლავ მის კვნესაში  
ტანჯვა... მონობა...  
ისევ ბორკილი!..

ი. ევდოშვილი.



ილია ჭავჭავაძე  
1870 — 1907 წ.

**დიდებულ ილიას**

ექვსი თვე შესრულდა, რაც აღარა გვყვებხარ... შენ მოგკლეს... მოგკლეს მხოლოდ ხორციელად. შენი სულიერი არსება კი ისევ განაგრძობს სიცოცხლეს... ეს სიცოცხლე ისეთივე მუდმივია, როგორც თვით საუკუნოება. არარა გააწბილებს მას, არარა მოსპობს!..

დიდო მგოსანო, „სიკვდილის შემდეგ დაიწყო შენი სიცოცხლე დაუფიწყარი!“ ძლიერო სკოლა, შენ დასტოვე ჩვენი საწუთრო, რომ შეუღლებოდი საუკუნოებას და სრულ მშვენიერებად ბარდაქმნილიყავი.

შენი ხორცი, მომაკვდავი შენი სხეული განისვენებს მთა წმინდის მშვიდობიან ადგილსა, ერთ დროს მწვანეილი. ვანსა, ახლა კი კაცის ბოროტი ხელისაბან გატრცნილსა და მარტო კლდოვანსა... მაგრამ ეს კლდოვანობა მხოლოდ სიმბოლოა შენი სულის სიმავრისა. ბოროტ ხელებმა შენც ხომ მოგისპეს ხორციელობა. ეგონათ დაესაჯეთო!.. რისთვის? რა მიზეზით? თვითონაც არ უწყიან უგუნურო-უბედურებმა.

უკვდაო მგოსანო, შენ დაგრჩა მხოლოდ ის, რაც რჩება განსაკუთრებულს იშვიათ არსებას,—გენიოსს... დაბრჩა ძლიერი სულის ნამოქმედარი. ეს მშვენიერი განძი ვის არ ბაწვროთნის, ვის არ ჩაუშუქებს გულში ცხოველ-მყოფ სხივს?...

მუშას უწერბავს ბულში იმდეს საუკეთესო მომავლისას. მუქთახორა-მძარცველს—უღვიძებს სინიდისს, სურვილს ზნეობრივ გარდაქმნისას და მშრომელ ხალხთან შეერთებისას.

ასე ძლიერია ნაყოფი შენი შემოქმედობისა. იგი ისეთივე ტკბილია, ისეთივე ცხოველ-მყოფელი, როგორც შენ გვერდით მუდამ მჩქეფარე, დაუშრეტელი, საიაზმო წყარო; რომელიც გარდმონაცემით, სარწმუნოებრივ წყურვილს უკლავდა წმინდანს, მუნ შეფარებულს.

სწორედ ეს წყარო—სიმბოლო საუკუნო მშვენიერებისა—გაჰფანტავს ყველა იმ ცილს, საზიზღარ კილვა-ძრახვას, რომელიც მოგახვია შენ ბოროტმა ენამ.

ვხედავ, იფანტება კიდევ ეს ნისლი... დარცხვენილი ავსულობა იუდასავით შორს იზალება. დღით დღე იზრდება შენი დიდება... ყოველივე მიწიერი ბშორდება შენ... მალე შეიქნები იმ სულიერ მეფედ, რომელსაც ყველა თავის ნებით,

ვხედავ შენი ბედკრული სამშობლოს აყვავება... შარავანდვით მოცულს... დაბეჩავებულ მშვენიერებას... —ამდბარს.

ვხედავ შრომის სამეფოს შენს პაწია საქართველოში. თვალ-წინ მქატვის ეს გატისკროვნებული ჩვენი მომავალი... მრწამს ყველა ეს... მრწამს აბრეთვე ისიც, რომ მხოლოდ შენისთანა ძლიერ სულთა გავლენის წყალობით უნდა მოხდეს ჩვენი მკვლრეთით აღდგომა...

ბრილოლი.



**სოციალ-დემოკრატიკ სოფლად**  
(შემდეგ\*)

**VI**

გნახოთ ახლას რას უკეთებდნენ ეს ვაჭბატონები სოფლებსა და მის მცხფრებლებს! ისინი ხომ ხამდვოლი ეახლები არ იყვნენ, რომელიც დახვდება კაცს გზახე, გაძარცვავს და წავსა. ისინი იყვნენ „იდეური“ ეახლები, ე. ი. ხალხში ავრტელ ბდნენ უმადლესს „იდეიას“ და გზა და გზა თავიანთ თავსა და ჯიბეს არ იფიწეებდნენ. მთავრობას რომ ახდევინებს გლეხებს სხვა და სხვა გადასახადებს, ნაცვლად ამისა ხალხის ცხოვრებაში შეაქვს „წესწეობილება“ და მშვიდობიანობა“, მდგდელი რომ ახდევინებს გლეხს დრამის ფუფს, ნაცვლად ამისა ის ემსახურება გლეხის სარწმუნოებას და სხვა. რას-მელ-მზობხაგანდისტები რომ უზომოდ ჭეფლეფდნენ ხალხს, ნაცვლად ამისა უქადაგებდნენ.. რას? ნუ გგონიათ, რომ ისინი უჩხეფდნენ ხალხს ძმობას, ერთობას, რომ შეერთებულის ძლით მოეზოვათ თავისუფლება. ნუ გგონიათ, რომ ისინი უხსნიდნენ ხალხს მარქსის მოძღვრებას, რომელიც აიანასწორებს დარბოსს და მდიდარს და ეფეფას მშვიდობიანსა და უზრუნველეფოფიფის ცხოვრებას უქადის. ნუ გგონიათ, რომ ისინი გატატებულნი იყვნენ ამ იდეით და სტდილობდნენ ამ იდეით ხალხის სუფის გაფდენტას. ამით არც ესმოდათ, რეფორტ ვალიტიკური, ისე ეკონოაიური რეფოლიუტეების ძლას და მნიშვნელობას და მაინცა და მაინც არც ძლიან თავს იც-

\*) ამ წერილების ბეჭდვა, როგორც ჰხედავთ, ჯერ არ გათავებულა და გაზ. „აზრმა“ და კერძოთ ს.-დემ. მოძღვრების მიმდევარმა რამდენიმე პირმა უკვე ბანავაში ასტებეს: ეს ცილის წამებაა! ფაქტები შეთხზულია, ტენდენციური, ჩქარა დაგვიმტკიცეთ: სად და ვინ ახდენდა ამ საზიზღრობას და თუ არ დაგვიმტკიცებთ, ჩვენ ჩვენს ზომებს მივმართავთ! არ ვიცი რა პასუხი გავსცე ამ გვარად დაყენებულს საკითხს. ეს შეკითხვა, ეს ბძინება და ეს მუქარა ისეთი ბავშურია, ისეთი გულუბრყვილო და მოსულელო, რომ, თუ არ გინდა შენც ბავშური საქციელი არ ჩაიღინო, უნდა მწარედ გაიღიმო და ბვერდზე ბაბრუნდე. არაფერს ვიტყვი აგრეთვე „შაგრაზმელობაზე“ რომელი სახელიც „ნიშაღურსი“ უწოდეს და რასაკვრელია, მეც, რადგან, როგორც ამ წერილების ავტორს, „დანაშაულობა“ უფრო მე მიმიძღვის. მე ამ წერი-



ხელებდნენ ამისთვის. მათი ქადაგება, მათი მოძღვრება მოკლე იყო და უბრალო: თქვენი მტერია თავად-სხნაურობა. თავად-სხნაურობა რომ არ იყოს, ეს მიწა-წყალი თქვენი იქნება, გარდასასადები არ გექნებათ და იცხოვრებთ მშვიდობიანად და მდიდრულად. დაჰკითხეთ თავად-სხნაურობას, გადასწვიეთ მათი ქონება, მოსხუთ დედაინბუდიანათ, რომ მკათი სინსილაც კი გაწევეს! ეს ერთი მუხლი მათი ქადაგებისა. მეორე შეგებოდა სარწმუნოებას და სამდგველებს: დიქრთი არ არის, მღვდლები გატყუებენ, თვალთმაქცობენ და დიქრთის სხელით გაძრგვავენ. თქვენი დიქრთის მარქსი, თქვენი მღვდლები ხეიან ვართო. არ გაბედეთ ეკლესიაში სიარული და ლოცვა. ეკლესიები სდარგებდა გადაკეთეთ, არ გაბედეთ ბავშვის მონათვლა, ჯვრის წერა, დამარხვის დროს მღვდლების მოწვევა და სხვა. ამასთან უქადაგებდნენ, რომ ნათესაობა არ არის, რომ და, ბიძაშვილი, დეიდაშვილი თუ მოკუწონათ, არც ჯვრის წერა გინდათ, არც სხვა არაფერი, აიყვანეთ და იცხოვრებთ! მთელი მათი მტკრემეტყუველობა ამ სიტყვების გარშემო ტრიალებდა და მთელი თავის ძალ-ღონეს ამ „მოძღვრების“ განხორციელებას ანდობდნენ. თავად-სხნაურობა და სარწმუნოება— აი ორი მტერი გლეხისა, სხვა მტერი მას არა ჰქვავს, თუ ეს ორი მტერი მოაშორა, გლეხის საქმე საბოლოოდ გაკეთდა! ადვილი საქადაგებელია და განხორციელებაც ადვილია! ქართლის ეგვლას სოფელში, ეგვლას ვრილობასა და მიტინგზე ასე იყო დაუენებელი საკითხი და ვაი იმისი ბრალი, ვინც ამ საკითხს აუხვევდა, ან და სხვა სიტუაციას ჩაურევდა.

ერთხელ ერთს გლეხს სოფელ ქ-ში ერთ ზატარას ვრილობაზე ეთქვა: რომ მისდგომისხართ ამ სხნაურშვილებს (ამასთან დასასხელა თავის სოფლის რამოდენიმე დარბაზს სხნაურშვილის გვარი) და ამბობთ: ეგები დაჯობდნენ და გვეშველებათ. მაგათ ან რა აქვთ, რომ წაართვათ, ან რა შეგებამტებთ რომ დახტდნენ! თქვენ თუ შეგიძლიანთ, იქ (ხელი ჩრდილოეთისკენ გაიშვირა) შესტყაფეთ კანონი და თუ კანონი შეიტყაფება და მაგათი დახტვაც საჭირო იქნება, ერთ დღეს, მარტო მე, მოვხვევ ეგვლას ხელს, მტკვარზე ჩავიყვან და წყალში

ჩავარხებო. ამით გლეხს უნდადა ეტყობოდა, რომ კანონებშია და არა ამ თუ იმ დამინსხე, მკონი რომ განსახრელია, რომ გლეხი თავის ტყუით ამ დასკვნამდე მივიდა, მაგრამ ზრთაგანდისტრანსმელები ასე არ ჰყოქრდნენ. ამ გლეხის ნაღმანაკვეი ერთ მშენიერ დღეს იმ რაინის ზრთაგანდისტების ვურამდე მივიდა. გაიმართა თათბირი და გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: გლეხი ს. ს—ქ ხელიგანია. თავად-სხნაურობას მხარს უჭერს, ამიტომ დიხსია სიკვდილის! ამასთან დაიბარეს რანმელები და უბრძანეს გარდაწვევტილებს დაუენებელი სისრულეში მოეყვანათ. და აი ერთ დამეს რამდენიმე შეიარაღებული რანმელი დაეცა ს—ძის სხლს.

— გამოდი კარში! — შეჭვირეს მძინარე გლეხს რანმელებმა. გლეხმა იცოდა „გამოიტეტის“ გარდაწვევტილება და მიხვდა, რისთვისაც იყვნენ რანმელები მოსულნი. მეტი ჯანი არ იყო, გამოვიდა კარში, მაგრამ წამოსხმული მარხის ქვეშ ცული გამოიტანა და მტკიცედ უთხრა რანმელებს (უნდა ვსთქვას, რომ გლეხი მეტად ხელდანიერთა და მისი ვაჟკაცობის სახელი შორსა გაგარდნილი) ვიცი, თქვენ ხემა მოკვლას გინდათ, მაგრამ იცოდეთ, ერთი და ორი ტყვია ვერ წამატყვას და ერთი, ორი კანის მოკვლას სკიდეკ მოვასწრობო და ამ სიტუაციით ცული ამართა. რანმელები შეშინდნენ და ამ გვარად ს—ქე გადაჩხა სიკვდილს.

იმვე სოფელში, როდესაც ერთმა ზრთაგანდისტმა დიდხანს უქადაგა ხლხს: თავად-სხნაურობა დახტვით და მათი სარწმუნობა-საბადებელი განადგურებო, ხლხსმა იყვირა: წავიდეთ გ—ღს (ადგილობრივი მემამულეა) სხლგები გადაუწვათ და დობებო დაუენგრივობო. (გ—ღი იმ დროს იქ არ სტოვობდა). ხლხსმა იხუყვას და გაემართა გ—ღის სხლსკენ, მაგრამ აქ წინ გადაუდგა ერთი ტყუა დამჯდარი გლეხი და უთხრა ხლხს: ხლხხო, არ გაბრივდეთ, დაწვიით და განადგურებით ხვენ ვერას მოვიგებთ, რათ უნდა დასწვათ სხლდი, რათ უნდა დაანგრიოთ დობებო? თუ, როგორც ეგები ამბობენ, გამარჯვება ხვენ დაგვრჩება და ამ მიწა-წყალს ხვენ მოგასაკუთრებენ, ეგ სხლდიცა და ეგ დობებოც ხვენ არ

როგორც ხედავთ საქმე ფარზე არ ყოფილა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ წერილების ბეჭდვას რომ შევუდექი, მე ვიცოდი, რასაც ჩავდიოდი და უპირველესს ყოვლისა უტყუარ საბუთებით შევიარადდი და მზადა ვარ ყველასთან პასუხი ვაგო.

ვარწმუნებ გაზეთ „აზრის“ რედაქციას და ზემოთ ხეიანებულ პირთ, რომ ამ შემთხვევაში არ ვხელმძღვანელობდი არავითარ პარტიულ მოსახრებით. ჩემთვის ეს სასიქადულა თუ სამარტხვინო, არც დღემდის და არც დღეს მე არავითარ პარტიას არ ვეკუთვნი და პარტიული საზომი არ მიჭირავს ხელში. ამ სამარტხვინო ფაქტების გამომჟღავნებამ მე მაიძულა, რომ არ გაგაციინოთ, არ ვიტყვი ხალხისა, დაბეჩავებულისა და მიწასთინ გასწორებულ გლეხის სიყვარულმა.

გული მტკივა, რომ საბრალო გლეხს, რომლისთვისაც სამოთხე ერთი თვალის შეხედვით მინც უნდა დაენახვებინათ, ჯოჯოხეთში ჩავადეს და უზომოდ სტანჯეს. რაღა? რად მოხდა ასე? იმიტომ რომ რევოლიუციის მესვეურობა წილად ხვდა ბიჭ-ბუჭებს, უვიცთა და გაუნათლებელთ ადამიანებს, რომელნიც როგორც წინად, მოძრაობის დაწყებამდე, ისე ახლა, რედაქციის დროს, დახლოვნებულნი იყვნენ და არიან მხოლოდ ქურდობასა და ძარცვა-გლეჯაში. ქურდობისა და ავაზაკობისათვის ციხეში ორჯულ-სამჯურ ნაჯდომი, ციმბირიდან გამოქცეულნი, სოფლის მებატონეებთან ნადგომნი, მებატონეების მიერ მოკვლა-ციხეში და ძარცვა-გლეჯვაში გაწვირონილი სხვა და სხვა დარაჯები, ტყის მცველნი, მზარეულნი და ხელზე მოსამსახურენი, გამოქნილი, ციმბირი



ობლები — მურატავის ხასტი.

დაგვჩნება! ხალხი შედგა და უფრო დაიწყო, მამინ ბრძანების დაცვას: დაჭკარით მავს! ეგ ხულო- განია! ხალხი მიესია და კეტებით ისე მობეჭვს საბ- რალო, რომ ხასტი ურმით წაიღეს და დღესაც დაზად- მუთუბუღია.

ვიმეორებ მთელი ბრძანება სოფლებში მიმარ- თული იყო თავდაზნაურობისა და საწმუნების მო- სისხობდად. არც ერთი სიტყვა სხვა გვარ მტერზე, რომ- ლის ბირში შეიღნი არიან ეს თავდაზნაურობა და საწმუნება, არც ერთი საუგედური იმ მტერის მიმართ, რომელსაც ორივე თავის იარაღთ გაუხდია, რომ უფ- რთ ადვილად გააძრეს გლეხს ტყავი! გლეხი მოხიდიდა ქუდს და იტყოდა: დემეტო გვიტოვებო მთავრობა და გასწვებოთ თავდაზნაურობა! რეაქტიის უკანასკნელ მომენტამდე, დამსჯელი რაზმის მოსვლამდე, საბრძოლო გლეხს ეკონა, რომ მთავრობა იმის მხარესა, მხოლოდ თავდაზნაურობა მიდის იმის წინააღმდეგ და ის არის მისი უბედურობის თავი და ბოლო! შემდეგში ერთმა ორმა სხვა კუთხიდან მოსულმა ბრძანების სცა- და ცოტა შორს წასულიყო და გაუბედავად, მოკრძალებ- ბით გლეხებს სხვა უფრო მძლავრს მტერზე მიუთითა, მაგრამ ხალხმა გაახუმა: მაგასე ერთი ხმაც არ ამოი- დო, შენ თავდაზნაურობისგან იქნები გამოგზავნილი, საიდანაც მოეთრე, იქით წავთრეო. ბოლოს და ბო- ლოს მთავრობასთან ბრძოლა და ბრტესტი იმაში გა- მოხატა, რომ ხალხს გადასწვებინეს და განადგურე-

დუქნები, „ნასალთარი“ გლეხები, სემინარიის მეორე, მე- სამე კლასიდან გამოგდებული ბავშვები— აი ის პოლი პრო- პაგანდისტებისა და რაზმელებისა, რომელნიც მეთაურობდნენ ხალხის მოძრაობას სოფლად და თავისუფლად ნავარდობდნენ ბლუხის სულსა, გულსა და ჯიბეში. აი ვის მოღვაწეობას ავწო მე ჩემს წერილებში, აი ვისთან მაქვს საქმე და გაზ. „აზრის“ რედაქციასა და მის თანამოაზრეებს კი ეს ხალხი აუყვანია თავის მფარველობის ქვეშ და ბევრქრება: ჩვენ წინა უმობს მივიღებო.

ბინეს სოფლის სამმართველოებისა და სოფლის მუხ- ბები, რომლებსაც დღეს გლეხები თავისივე ხელით აშე- ნებენ! ეს იყო და ეს. შემდეგში აღარაფერ დავადა ხალ- ხის ძალა სხვათრე გამოეყენებინა. არეულობა კი სა- ჭირო იყო, ამიტომ ბრძანების დაცვა და დავა ვირ- ველად არეულ გზას, ე. ი. სოფლად თავდაზნაურო- ბისა და საწმუნების მოხსობას.

რას ზომებს ხმარობდნენ ბრველის მოსახლობად, ამასე შემდეგ წერილებში მოვილაზნაკებ, ჭერ ვნახოთ როგორ ებრძოდნენ სოფლად საწმუნებას.

თავდაზნაურობის მოხსობა და მათი მიწა-წყლის ხელში ჩაგდება გლეხებს, რასაკვრელია, ძალიან ესია მოვინათ და ბრძანების დაცვას ზეცადან მოვლენილ ან- გელოზებად სოფლიდნენ, მაგრამ როგორც კი მათ საწ- მუნებას შეეხებოდნენ, აქ ცოტა არ იყო, არც თან- უტორობენ და ზოგიერთ მუხლებში სრულებითაც არ ეთანხმებოდნენ. სამდგდელოებას არაფერს მივცემთ, მაგ- რამ ჭფრის წერა, დამარხვა, ნათლობა უმითოთ არ შე- იძლება და უფელ ამგვარ შემთხვევაში, მიმართავდნენ ხოლმე სამდგდელოებას და ეკლესიასაც. მამინ ბრ- ძანების დაცვას და რაზმელებს გადასწვებინეს, ეჭვან- ბინათ გლეხებისთვის მრავალი საწმუნების შემრევე- ლი მაგალითი და ამ მიზნით, აი, რა მოქმედეს სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა სოფლებში.

ცხინვალის ახლოს, ერთ-ერთ სოფლის ბოლოს გა- იმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, დაესწრო რამდენი ათასი სოფელი. ბრძანების დაცვა ჭერ უქადავა, რომ დემეტო არ არის, რომ ხატებს არავითარი ძალა არა ქვს და უკვლავ ამის დასამტკიცებლად იქვე ხალხის წინ გახალა ცერხი, შემდეგ საარავე ქვაბი, მოგროვები- ანა ახლო-მხლო სოფლებში ხატები, ჩაყარა ქვაბში და ადულა, მერე მიუბრუნდა ხალხს: „აბა თუ ძალა აქვს თქვენ ხატებს, ამხტნენ ქვაბიდან თუ შეუძლიანთო“. ხატები მოხარშეს, ხალხი დაიშალა. მაგრამ, დასე ბრა- ვანდისტის უბედურებას! არ გასულა ამის შემდეგ ორი, სამი საათი, რომ უცბად მოიდრუბლა, წამოვიდა სეტყვა და ცხინვალის ხეობა მთლად ჩაღვწა. სოფლებები გა- მოცდოდნენ კარში, აღაზერეს მადლა ხელები და დემეტოს ეკვდრებოდნენ: სხვის მიერ ჩადენილი ცოდო იმითთვის არ გადაუხდებინებინა.

სოფ. ახალ—ბაში წმ. გიორგის ეკლესიას, რომე-

ლიანთ გასწოთ თქვენი პროგრამის განხორციელების დროს, აქ დემაგოგობა თქვენთვის მავნებელია და არც გამოაბღე- ბათ!

თქვენ შეგიძლიანთ მხოლოდ ერთი სიტყვათ: რა შუაშია აქ ს.-დ. პარტია, როგორც პარტია? რად დავარქვი მე ჩემს წერილებს სახელი „სოც.-დემოკრატია სოფლად“? აი, თუ გნებავთ, დააყენეთ ამ გვარად საკითხი, და მაშინ გაცემთ პასუხს, მიუძღვის რამე დანაშაულობა ამ საქმეში პარტიას ხეობელი. თუ არა?



ანტონ კათოლიკოსი

(ბარდაცვალა 1728 წ. 28 თებერვალს).

ღიჯ სალხს ძაღიან სწამს და სასწაულთ-მომქმედ ეკლე-  
სიათ მიხნიათ. ერთხელ ამ ეკლესიის სიასდგაგეს და-  
ბანაკდა ცხენებით წითელ-რახმელთა ერთი ჯგუფი.  
სადამოხე, როდესაც რახმელები აიყარნენ და გზას გა-  
უდგნენ, სოფელი ავიდა ამ ეკლესიასთან და რა ნასა:  
მთელი ეკლესია, როგორც ტრაპეზი, ისე ის ადგილი,  
სადაც სალხი ღოცულობს მთლად წაბიღწული და გას-  
ფრდილი იყო ადამიანის განავალით, ისე რომ ერთი ფე-  
ხის დადგომას ვეღარ ნახავდა ადამიანი.—წაბიღწული  
იყო აგრეთვე ბარძიმ ფეხსუმი და სხვა აუკუყულობა.

იმავე ცხინვალის სეობაში ერთმა პრინციანდისტმა  
ქადაგების შემდეგ ეკლესიიდან გამოიტანა გარედ სტი,  
რომელსაც სალხი განსაკუთრებულს ზატავს სტეშიდა, ხეს  
მიაუუდა, გაუდგა განზე და რამდენჯერმე თოფი ესრო-  
და — აბა მაგას თუ ძაღა აქვს — მიუბრუნდებოდა ის  
სალხს უფველ სროლის შემდეგ — აი, სამ ქსედავთ,  
მთლად დაფხვრიტე, აბა რა მიუფო!

სალხი შეურაცყოფილი, თავზარდაცემული იდგა  
ჩუმად და სმას არ ადებდა. მსალოდ ერთმა მახუტე-  
ბულმა კაცმა ვეღარ მითმინა და უთხრა:

— გაუგოებინა და ამაზე შეტს რადას კიზამ-  
და!

(შემდეგი იქმნება)

**ხეობელი.**

**ზღაპრული ისტორია**

(ნამდვილი ამბავი)

ერთმა დათვმა ერთი დაბა  
მთლად აიკლო, ააოხრა,  
არ გაუშვა არც სიმინდი,  
არც ბოსტანში ჭარხალ-გოგრა,  
ბოსტნები რომ მთლად მოტვლილა,  
ჯერი მიდგი საქონელზე,  
თხა და ცხვარი სულ დაყლაპა,  
გაშვებული მინდორ-ველზე.  
ის პირ მყრალი, ბანჯგვლიანი,

გათამამდა მეტის-მეტად,  
თავის თავი დაესახა **ეროვნული**  
ქვეყანაზედ ხატ და **ღმერთთა**  
ან კი როგორ გადამტყუნო,  
ტოტს და კბილში ჰქონდა ძალა,  
შიოდა და ნადირობდა,  
ხელიც ვერვინ შეუშალა.  
მაგრამ დროა, დრო ოხერი!  
და სოფელი ცვალებადი:  
გუშინ ნაზუქს არ ნატრობდი,  
გენატრება დღეს კი მქადი...  
უზომარმა გაქირვებამ  
სოფელს დასდო სხვა ელფერი:—  
ფარაჯები აბობოქრდნენ,  
ამოძრავდა ყველაფერი.  
ირგვლივ, სადაც გაიხედავ,  
მოისმოდა ჩუმი დრტვინვა,  
გაიზარდა, მერე თანთან,  
გადაიტყა შედგარ გრგვინვად.  
ყველა შფოთავს, ყველა ყვირის,  
ილანძღება, იგინება,  
იმუქრება, მუშტებს იქნევს,  
დათვისაკენ იზიდება:  
— „აბა თვალთ დაგვანახვეთ,  
როგორია, ვნახოთ ერთი?  
თუ ცოცხალი კიდევ წავა,  
მაგის რჯული, მაგის ღმერთი!“  
დათვს შავსმა ხალხის გრგვინვა,  
შიშის ზარმა აიტანა,  
დაფთხა, მირბის, მთლად გათელა,  
რაც წინ შეხვდა ბოსტან, ყანა ..  
როგორც იყო ტორიანმა  
ერთს ჯავიანს მიატანა  
იქ სოროში შეძვრა უცებ,  
მოიკუზა მოიკავეა.  
მიკვირს საწყალს ელდისაგან  
აქნობამდე სული დაჰყვა!  
ზის სოროში, კარებისკენ  
იხედება, უგდებს ყურსა:  
ვინ უშველის? ხსნა არა აქვს,  
მოვლენ, მოჰკვლენ უბედურსა!  
მოაგონდა ყველა ცოდვა,  
ყველა თვისი ავი საქმე:  
ბატკან-ციკან, თხები, ცხვრები  
შაეჭამა თუ რომ სადმე;  
თვითონავე შეაზარა,  
ცოდვები რომ სულ დათვალა,  
ერუსალემს ბერად წავა,  
თუ კი ღმერთმა დააცალა!  
ასე იჯდა კარგა ხანი,  
აცია და აკანკალა!

ხმა კი მკებრი, დიდებული  
 ვით ღრიალი ზღვათა ბრდღვენა,  
 ცის ქუხილი შორეული,  
 ატეხილი ქარის ღრენა —  
 ახლოვდება, ჭექა-ქუხილს  
 ველარ უძღვეს ცოდვის შვილი  
 და დათუნას შიშისაგან  
 იქვე წაუვიდა გული.  
 აღარ ახსოვს ამის შემდეგ,  
 საწყალ დათოს, სად რა მოხდა:  
 — მოჰკლეს? დისკრეს? სდიეს? თოფეს?  
 ან ქეჩოში რამე მოხვდა?  
 ეგდო ასე, შიშისაგან  
 სული უკან გაეპარა,  
 რაც სიცოცხლით სიტკბო ნახა,  
 სულ ერთ წამში ჩამეწარა!

მთლად სოფელში გათნქმულია  
 ვაჟკაცობით ორი ბიჭი,  
 არ აკლიათ ჯანი, ღონე,  
 არც თუ ტანი, მხარი, ბეჭი.  
 ერთსა ჰქვიან იოსება, —  
 მეზობლებში „ჩვენი სოსე,“  
 ყველგან კარგი, ღვინში, ჭირში,  
 ყრილობაში სალაყბოზე,  
 საითაც სურს სოსიასა,  
 იქით უზამს სოფელს პირსა,  
 არ უფროთხება მამასახლისს,  
 მუშტით ამტვრევს გზირებს ცხვირსა.  
 არც მეორე უფარდება,  
 „თებერვალას“ ეძახიან,  
 ვერ გავიგე ეს სახელი  
 რად დაარქვეს? რითა ხსნიან?  
 ეს სოსეზე კობტა არის.  
 სულ წკიპურტათ იბერტყება,  
 სკოლაშიაც უსწავლია,  
 უბის წიგნში იხედება.  
 ტრაბანი და ბაქიობა  
 რომ ვსთქვა, არც ერთს არ აკლია,  
 საერთოა საზოგადოდ  
 ქართველთათვის ეს ნაკლია.  
 სიტყვით ზღვაზედ ხილს გაზღებენ,  
 გაღმა გავლენ და გამოვლენ,  
 ცაში კიბეს მიიდგამენ,  
 ღმერთთან ავლენ და ჩამოვლენ.  
 — „ვინ დათვია, რა დათვია,  
 ის შიშისა, ის პირ მყარალი!?  
 განა ცოცხალს გაუშვებენ,  
 თუ კი მოჰკრეს სადმე თვალი!?  
 მაგრამ საქმე იმაშია,  
 ორივეს აქვს ერთი თოფი,

იმაზედაც აიტყვის  
 ცილაობა, ჩხუბი, შფოთი,  
 (უნდა ვსთქვათ, რომ უტყვიობით  
 გაეტენათ ლობიოთი)  
 ერთმანეთს არ ანებებენ,  
 თრივენი იჩემებენ,  
 ხელი სტაცეს ერთმანეთსა,  
 ძიძგილობენ, კიდაობენ.  
 — მე მომეო! ყვირის ერთი,  
 — არა მეო! ამხანაკი,  
 ღრო კი მიდის, საქმე რჩება,  
 გააგრძელეს ლაპარაკი.  
 ბოლოს ხალხი ჩაერთა,  
 რასა შვრებით? გვლუბავთ რათა?  
 თუ აქამდე არ იყავით  
 ბრძოლისათვის ბიჭო, მზათა,  
 ჩვენ რიდასთვის მოგვაცდინეთ,  
 გამოგვრეკეთ მინდორშია?  
 ზოგი ვხნაველით, ვთიბლით, ვმკილით,  
 ვაზს ვფურჩხილით ვენახშია.  
 თქვენ ერთმანეთს ეჩხუბებით,  
 ორს არა გაქვთ ერთი პირი,  
 სოფელი რომ უკან შედგეს,  
 აქ რაღაა გასაკვირი!  
 ისევ ხელი ხელს მიეცით,  
 გაგვიძელით, გასწით წინა,  
 და თუ ვინმე უკან დადგეს,  
 ღვთისმშობელმა შეარცხვინა!  
 — მაშ მომყეთო! სოსიამა  
 როსტომსავით დაიყვირა,  
 გამოჰკლიჯა ძალად თოფი,  
 აღარც იმან აიხირა  
 და მთელმა ზღვამ, ხალხის კრებამ  
 დათვის სოროს მიაშურა.

ისეთი წვეს საბძელივით,  
 გატვრენილი, გასუნთქული,  
 ყველას, ვინაც დაინახა,  
 შიშით უკანკალებს გული.  
 სოსემ ხალხზედ წინ წამდგარმა  
 დაუმიზნა მაქახელა.  
 მთა და ბარმა რყევა იწყო,  
 როცა იმან დაახველა!  
 — დიდებული თოფი არის!  
 დიდებული! ყვირის ყველა.  
 დათეს რომ მოხვდა გასროლილი  
 ერთი ჯამი ოდიშური,  
 თოფის ბოლში გაეხვია,  
 თავზედ აზღის წამლის ბური,  
 ჯერ ეგონა:—მორჩა, მომკლეს!



ქართული  
წიგლისათვის

სროლას კიდევ მოელოდა,  
თავზედ ტოტი მოიხვია,  
წამოგორდა როგორც ხვედა!..  
— მოკვდა! მოკვდა! ყვირის ხალხი,  
— გაუმარჯოს სოსიასა!  
გაუმარჯოს დათვის მკვლელსა,  
გაუმარჯოს მადლიანსა!  
სტაცეს ხელი, აიტაცეს,  
ძირს აღარც კი დააკარეს,  
ქებითა და დიდებითა  
ააღლევეს, გაახარეს.

— „გმადლობთ, ძმებო! გმადლობთ! ყვი-  
რის:

— სულ მეტია, ჩემმა მზემა,  
ასე უნდა მომხდარიყო,  
ადრევე სთქვა ერთმა ბრძენმა,  
ამას იქით უნდა ძოვოს,  
ერთად ტყეში თხა და მგელმა!“  
უხარიანთ, სიცილია,  
ყვირილი და ღრიანცელი  
ახლა ყველას დაავიწყდა  
თოხი, ბარი, ნამგალ-ცელი.  
მოდით, ხალხო, ყვირის სოსე,  
ნულარა გაქვთ დათვის შიში,  
სულკრულს ხალხმა გაუსწორა  
ყველა ძველი ანგარიში.

— მოდით, აბა გავათრიოთ,  
გავიტანოთ სადმე ველზე,  
გავატყაოთ, მაგის ტყავი  
აღალია ყველა ჩვენზე!  
მოდის ხალხი, ზღვა მოგროვდა,  
აღარ არის. არსად ქდევა,  
სულყველა წინ ეშურება,  
ყველა როგორ დაეტევა?  
ახლა ვნახოთ, დათემა რა ქნა?  
ერთი სროლით მოკვდა განა?

— რა მოჰკლავდა, აპტრუსვია  
მხოლოდ ბეწვი ყურებთანა.  
რომ გაიგო, ამდენს ხალხსა  
ჰქონდა მარტო მაჭახელა,  
ისიც მხოლოდ გატენილი  
ლობიოთი ხელ და ხელა,  
შიშმა ხელად გადუარა,  
ჩაეცინა ნელა-ნელა,  
წაწვა უფრო გატერენილი,  
კამედია გააგძელა.

— მოდით ძმებო, ყვირის სოსე,  
გავათრიოთ, სტაცეთ ხელა!  
აბა ერთი დააცქერდით,  
როგორი წევს საძაგელი!

აღარ მინდა ამის შემდეგ  
მოვიგონო თუ რა მოხდა  
წამოვარდა ის წყეული,  
რაკი ფეხში ხელი მოხვდა!  
დაერია საწყალ ხალხსა,  
გლიჯა, ფლითა, კბინა, ხოცა,  
სისხლი მიდის თქრიალითა!  
რამდენს დუჟა მოაქამა,  
რამდენს მკლავი, რამდენს კანჭი,  
უსახიჩროდ არ გაუშვა,  
ვისაც ოღნავ მოსდო კლანჭი.  
რა ქნეს ნეტა, რას შერებთან  
სოსია და თებერვალა?  
ნეტა როგორ შეასრულეს,  
რაც ქვეყანამ დაავალა?  
— ეჰ, რო ვნახე, როგორ ავწერ,  
ორივე ისე შემებრალა!..  
ორივენი რიგიანად  
დაბეგვილი, დამტვრეული  
სოფლის დედაბერთან წვანან  
თხის ტყავებში შახვეული,  
დათვისაგან ძალზედ საწყლებს  
დუმები აქვთ დახეული.  
(თურმე დუმის ხსენებაზედ  
სულ ცეცხლსა ჰყრის ის წყეული!)

მით თავისას არ იშლიან  
ფიცულობენ წმინდა სახელს  
ერთობისას, თუ რომ კიდევ  
გადაურჩნენ დათვის ნაკბენს,  
მაჭახელით აღარ წავლენ,  
არც გასტენენ ლობიოთი,  
მაუხერს და ბრაუნინგებს  
შაიძენენ თავის ღროთი.  
მერე ნა'ოს ბანჯგელიანმა  
თავის დღე და თავის ყოფა,  
თუ კარგია ქვეყნის ჰამა,  
ტაცობით ამაყოფა,  
თავის თავის გაღმერთება,  
სხვის უფლების უარ ყოფა.

თედო რაზიკაშვილი.

მ ო ს ე

მოსე დადარებულად მიდიდა.  
გზაზედ დაინახა, რომ ეგვიპტელს ებრაელი ჩაე-  
კლა და წისლით უწევდაოდ სცემდა.  
მოსე თავის მამუდიშვილს გამოესახა:  
— რადა სცემ? რა დაგიშავს?  
— ჩემი მონაა!.. ერთგულად არა მუშაობს... ცუ-  
დღუტობს...



„უაკერია“ (გლეხთა ამბოხება საფრანგეთში) — რეზერვისის ნახატი.

— უფლება არა გაქვს სხვის ზიროვნება შეჭლასო!  
 — ჩემი მონაა-მეთქი!..  
 — შენ თვითნა არაარაბა ხარ!!  
 — ეს კბრეულია და მასისადაც ჩემი ნებაა რა-  
 გორც მოვეხერხები!..  
 — ებრეულია, მაგრამ ეგეც ადამიანია!  
 — ჩემი მონაა! ჩვენსა მბრძანებელმა დაიხურა ებ-  
 რეულები და მათ ჩვენთვის უნდა თფლა დუარონ... შენ  
 მაგას ესარჩლები და მით სხსელმწიფთა კანონს არღვევ...  
 შენც ებრეული ხარ!.. მბრძანებლის წინააღმდეგ მისდი-  
 ხარ. . შეამბოხე ხარ...

გავუთხარათ შავი სამარე, ჩვენს თავსვე ვუთხრით!..  
 ნეტავ გიცნავე, გონს როდის მოვალთ?!

ა. შ—ლი.

ქართული ხელოვნება



ზაქარია ფალიაშვილი

მოსეს სიხსლი თავში აუფარდა. შემდეგ გაფითრდა და გამხერცებულ ეგვიპტელს თვალებში ჩანტქერდა.

ის კი იმეორებდა: „ებრეულები მონები ხართ... დაგობუართ და ჩვენს ნებაზე უნდა იარათთ“...

მოსეს გუფი სსშინლად აუკანკლდა და მოთმინე-  
ბიდან გამოსულმა ისე მაგრას სტკიცას სილას უურის ძირ-  
ში, რომ ცოცხალ-შეგდარმა ეგვიპტელმა მიწასედ თარ-  
თხალი დაიწყო და მალე სულიც დალიას.

მოსე უარესად გაფითრდა და გაშეშებულ ლეშს  
დასტქერდა. შემდეგ მიიხედ-მოიხედა და რაკი დარწ-  
მუნდა, რომ ირგვლივ ირავინ იყო, სსჩქაროდ გათხარას  
საფლავი და შიგ ჩაფლავა.

თავისი თანამემამულე გადაკოცნას და უთხარას: წადი,  
თავისუფალი ხარ... მხოლოდ სხვას არავის გააკებინო,  
რაც აქ მოხდა, თორემ სიკვდილით დამსჯიანო და თვი-  
თონაც გზას გაუღკავა.

გენიოსი მოსე დანაგრეულს და შეურაცხყოფილს  
მამულიშვილს გამოესარჩლდა, მაგრამ ჩვენ კი?.. ჩვენ  
ერთმანეთი გვძულს და იმის მაგიერ, რომ სსერთო მტერს

დაიბადა ქუთაისში. იქვე კათოლიკეთა ეკლესიაში  
 შეეჩვია ორგანოზედ დაკვრას და გალობას. 1889 წელს  
 გადმოვიდა თფილისში, ქართველ კათოლიკეთა მიძინების  
 ეკლესიაში უფროს ძმასთან ივანესთან ერთად ორგანისტის  
 თანამდებობაზედ. 1895 წ. თფილისის სამუსიკო სასწავ-  
 ლეობლის დირექტორმა ბ. კლენოვსკიმ მიიღო სახელმწიფო  
 ხარჯზე სანწავლებელში. ეს სასწავლებელი პირველ მოწაფედ  
 დაასრულა. აქედან გაემზავრა მოსკოვში უმაღლეს სწავლის  
 დასამთავრებლად და კონსერვატორიაში მიიღეს მეექვსე  
 კურსზე სახელმწიფო ხარჯზე. დიდი მონაწილეობა მიი-  
 ლო ზაქარიას ბედ-იღბალში გამოჩენილმა პროფესორმა  
 ბ. ტანეევმა, რომლის ხელმძღვანელობითაც სამი წელიწადი  
 დაჰყო კონსერვატორიაში და გაათავა კიდევ 1902 წელს  
 შესაფერის დიპლომით. იმ წელსვე ჩამოვიდა თბილისში და





ვინ გაუბრძის სიმართლეს?!



პოლიციელი. რას დაქვებ ფარნით?  
თანამედროვე დიოგენი. თავისუფლების ნატამალს.

მიწვეულ იქმნა სათავად-აზნაურო ბიმნაზიაში მუსიკის მასწავლებლად. 1903 წ. მიიწვიეს მუს. თეორიის მასწავლებლად თბილისის სამუსიკო სასწავლებელში, სადაც დღესაც მასწავლებლობს. ზაფხულობით დაიარება სოფლად და ფონოგრაფის შემწობით სწერს სხვა და სხვა ქართულ ხმებს ნოტებზედ და შემდეგ ხელოვნურად ამუშავებს ხორავსა და ორკესტრისთვის. ჯერ ჯერობით მოვლილი აქვს სვანეთი, გურია, ქართლი და კახეთი; ეს ხუთი წელიწადია ლობჯინაშვილს ფილარმონიულ საზოგადოების ქართულ ხორავს. ჰმართავს კონცერტებს და საოპერო წარმოდგენებს და სხვა და სხვა საკველმოქმედო საზოგადოების მუსიკის სასარგებლოდ.

ზაქარია ფალიაშვილი ჩვენს ახალბაზრობაში ყველაზე უფრო ნიჭიერი, მუყიათი და განვითარებული მემუსიკეა და ეკვი არ არის, დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენ ეროვნულ მუსიკას, რომელიც, თუ დრომ და გარემოებამ ხელი შეუწყვა, შესაფერ ადგილს დაიჭერს მსოფლიო ხელოვნებაში.

როგორც გავიგეთ, ზაქ. ფალიაშვილი უკვე შესდგომია საკუთარ ქართულ ოპერების შემუშავებას.



მარიამ ელიავა

ქართველი მოღვაწენი



ეკიმი გრიგოლ გაბაშვილი

ქ. ბათუმში 29 იანვარს გარდაიცვალა ცნობილ ეკიმ გრ. ელიავას მეუღლე მარიამი, ივანე ნაკაშიძის ასული. მისი სიკვდილის მოულოდნელმა ამბავმა გული დასწყვიტა არა მარტო მისს ნაცნობებს, არამედ ყველას, ვისაც კი გაუგონია მარამ ელიავას სახელი და მისი მოქმედების შესახებ რამე სმენია. ადგილობრივმა გაზეთებმა უძღვნეს მიცვალეულს თანამგონობი წერილები. ამ წერილებში ახსიათებდენ მას, როგორც მხნე, დაუზარებელ საზოგადო მუშაკ-მოღვაწეს, სიყვარულით აღსავსე დაგრდომილთადმი. გასვენებული იყო სხვა და სხვა საზოგადოებათა წევრი. იგი იყო ბათუმის საკველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი, საქალბო გიმნაზიის სამზრუნველო საბჭოს წევრი, ქალაქის საბჭოსაგან არჩეული; წევრი საჯარო ბიბლიოთეკის ბაზგეობისა, აგრეთვე ქართულ სასწავლებლის კომიტეტისა და სხვ. დაკრძალვას—გადმოგვცემენ გაზეთები, დიდძალი ხალხი დაესწრო. ყველა სტიროდა... ყველა გლოვობდა... ასეთია გარეგანი ფაქტები ამ პატიოსან ადამიანის შესახებ შეგროვილი. ჩვენ, მისს ახლო ნაცნობებს, მოვალეა-

ბა გვაწევს ამ გარებანს ფაქტებს შესაფერი შინაარსი მოუძებნოთ. განვაცხოველოთ ისინი...

ღიად, მოულოდნელი იყო ჯერ კიდევ ახალგაზდა, ღონით სავსე მარო ელიავას სიკვდილი!.. იგი მხოლოდ 38 წლისა იყო. რას წარმოვიდგინო იანვარში, ნახალწლევს, როდესაც აქ თბილისში ჩვეულებრივის ბულ-მზურვალეობით მებაასებოდა ის ქართულ საეროვნო ფონდის, ქართულ მატრიცის შესახებ, რომ თებერვალში ჩემს მაგიდასთან ვიჯდებოდი და ჩემი კალმითვე ამ მწუხარე სტრიქონების წერას შეეუდგებოდი. სწორედ რომ ამათა ყოველივე ამ სოფლად! ყველაფერი წარმავალია!.. ყველაფერი წუთიერი!.. ეს და დავგრჩენია ნუგეშად... ნამდვილი კაცური კაცი ხორციელად კვდება მხოლოდ. სულიერი მისი არსებობა კიდევ ბანაგრძობს კარგა ხანს სიცოცხლეს.

ქეშმარიტად არის თქმული ბევრ მკვდარზე: „მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარიო!“ მარო ელიავაც ასეთი იყო.. თავის თავის დავიწყება, სრული თავგრძობა ცხოვრებისაგან დაზარალებებისა და დაბეჩავებული-სადმი, სრული სიყვარული მშრომელი ხალხისადმი, ჩუმი, უჩინარი ქველობა, მრავალ ცხრივი სიკეთე, სათნოება, გულ-ანდილობა და გულ-წრფელობა—ი ის სულიერი შინაარსი იმ არსებისა, რომელსაც მარო ელიავა ეწოდებოდა. ვისაც კი შემთხვევა ჰქონდა გასცნობოდა მას, ის მაშინვე იგრძობდა, რომ შეხვდა იშვიათ ადამიანს, რომელიც წმინდა, ქეშმარიტ სიყვარულის ატმოსფერას ავრცელებდა ირგვლივ და მით იკრფოდა თვის გარეშე მოვრთულსა და მისგან მოხიბლულ ამხანაგ-მეგობრებს. უნდა გენახათ, რა ზარ-დაცემულები მორბოდნენ ჰირსუფლებთან ისინი, ვასთვის რაიმე დახმარება, ნივთიერი თუ ზნეობრივი, აღმოეჩინა მას. ის უანგარო ცრემლები, რომელიც იღვრებოდა დაკრძალვის დღეს, ნუ თუ ქეშმარიტი უტყუარი დამამტკიცებელი საბუთი არ იყო მისი, თუ ვინ დაჰკარგა საზოგადოებამ?!

მით უფრო საკვირველი იყო ეს განსვენებული, რომ მასში მარტო თვით ბუნება იხატებოდა... ეს იყო ნამდვილი ბუნების შვილი, პატრიარქალურ ოჯახში ბამოზდილი. მასში ნახელაგენევი არა იყო რა. რაც იცოდა, იცოდა თავისად. ამგვარ ქმნილებათ ხშირად შეხვდებით სადმე სოფლად, იმ ადგილებში, სადაც ჩვენი ცივილიზაციის გარეგნულ, ცრუ ფორმებს ჯერ კიდევ არ გაურყვინია ის ღვთაებრივი ნაპერწკლები, ის მგზნებარე ელემენტები, რომელიც ბუნებით ჩასახულია ადამიანში და ასე სიმპატიურად ქმნის მას. მართლაც, შეადარეთ ამ ქმნილებათ ქალები, უფროს-გრო შემთხვევაში მთავრობის დედათა სასწავლებლებში გაზრდილ-მაწვრთნილები. რა განსხვავებაა!.. რა აქეთ მათ საერთო სამშობლოსთან, იმ ბედკრულ, დაბეჩავებულ მშრომელ ხალხის ქვეყანასთან, რომელმაც ისინი დაჰბადა და ბამოზარდა?!.. ეს ნაკლი არ იყო მიზეზი, ჩვენს საყვარელს მზოსანს მწარედ რომ ათქმევინა ქართველ ქალის შესახებ ერთს ლექსში: „მას აკლია ნიჭის აღმგზნები ბეჭედი სამშობლოს სიყვარულისა!“-ო.

განსვენებულში ამ ნაკლს ვერ ჰპოვებდით. იგი მთლად ეკუთვნოდა თავისს ერს. ჰბლოვებდა მისი მწუხარების და ჰხარობდა მისი სიხარულის დროს. რა რიგ თანაუგრძობდა მშრომელ ხალხის მოძრაობას; რა მოსარჩლე იყო მათი, ვისი ნაოფლართაც სარგებლობენ სხვები! ვინც დაბრმავებული არ არის, ის ადვილად წარმოიდგენს, რა რიგად საქნელოა იმ წრებში, რომელსაც ეკუთვნოდა განსვენებული, საჯაროდ ბამოცხადება თავის რწმენისა და ამის შესაფერად პირნათლად მოქმედება. მაგრამ მარო ელიავა არაფერს არ

ერიდებოდა, თავისუფლად მოქმედებდა, თავის რწმენას ბულ-ანდირათ აღიარებდა. მისი სამშობლოს სიყვარული, სილო, უანგარო,—არ იყო ისეთი, რომელიც თავს „ნიუდალური“ ზე მალდა აყენებ, რომელიც ეგოისტურ-შოვინისტურ ნაციონალიზმია. კიდევ თავის სამართლიანი მსჯელობით მოიბირა ამ საუცხოვო ადამიანმა გული უცხო ერების შვილებისა. ღიად, მარო ელიავას სიმართლისათვის არც ერთხელ არ უღ ლატნია!

აი, ეს კაცური კაცობა, ეს ადამიანობა ქმნიდა ბანსვენებულს ყველასათვის საყვარელს, სასიამოვნო და პატივგულ პირად. სწორედ ეს მისი სათნო ხასიათის, იშვიათი ბუნების თვისებანი იყო მიზეზი, რომ ბევრს ათქმევინა მისი გოულოდნელი სიკვდილის გამო: „ასეთი ადამიანები, რომ არ არსებობდნენ ქვეყანაზე, ეს უკანასკნელი რას დაემსგავსებოდაო“?!

სწორედ ამგვარ ხასიათის მქონე პირს ეძახის ბერნსტიერნებ-ბიერნსონი ზნეობრივ ტალანტს, ნიჭს, ადამიანობის იდეალის სრულ გამომსახველს.

ეს ღვთაებრივი თვისებანი განსვენებულის ხასიათისა არის სწორედ საფუძველი იმ მომავალი ადამიანის სულიერი შინაარსისა, რომელიც ნებას ბეძღვეს იმედით შევიტურვოთ, რომ ადამიანთა საზოგადოებას შეუძლია იარსებოს უიძულეზოდ, უძალდატანებოდ, რომლის გამომსახველი ორგანოები დღეს მძიმე ლოდად დასწოლიან ჩვენს ურთი-ერთობას.

ასე ძლიერია ის შინაგანი ღვთაებრივ-ადამიანური ძალა, რომლითაც სავსე იყო მიცვალებული!..

ასეთი არსება იყო მარო ელიავა მაშინ, როდესაც მას მხოლოდ განაგონობით ვიცნობდით...

ასეთი წარმოგვიდგა თვალწინ, როცა პირადად გავიცანით...

ასეთივე დაბვირჩება იგი სამუდამოდ ჩვენს ხსოვნაში... და განა მარტო ჩვენსაში?

8.

# ამირანი

(სურათი)

## I

წვეს ხმის ამოუღებელივ. ირგვლივ მყუდროებაა. მხოლოდ ყვავ-ყორანთა საზარელი ჩხავილი, მელა-ტურების კნავილი და მგელ-დათვთა ღმუილი მოისმის. ყველა ეს ნადირნი პირქვე დამხოზილს გარს შემორტყმინან. ყვავ-ყორანი გულ-მკერდს უკორტნის, ტურა შიგნეულს აქამს და დათვი ხელფებს... მაგრამ... ოჰ, საკვირველებავ!.. მწოლარე ისევ ცოცხალია, ისევ ისე ძლიერი და მოუდრეკელი!.. ხანდის-ხან მეტის ტკივილებისაგან მწარედ ამოიგმინებს ხოლმე და კაცი ჭამიებს გულს უხეთქავს...

არ კვდება, მარად ცოცხალია!.. საკვირველია, ვინ არის ასეთი არაფრის შემჩნევი, შეუდრეკელი, მარად უკვდავი?!

— ამირანია, ამირანია! — ყრუდ მოისმა მსოფლიოს წიაღიდან.

— დიახ, ამირანია! მტკიცედ შესძახეს სულ

ყველამ. სწორედ ის არის, რომ თავისი მაგარის, მძლავრის კუნთებით მხარ-თეძოზე წამოწოლილა და ფართე გულ-მკერდში სიბრაზეს, შურის-ძიების უნარს და ბოღმას უგროვებს, რომ შემდეგ,—როდესაც დადგება ხელ-საყრელი დრო,— ყველა ესენი ერთბაშად გადმოანთხიოს და ყვავ-ყორან-ტურა-დათენი მათ შიგან შთანთქას, მიღეწ-მოღეწოს, მტვრად აქციოს!..

ღიახ, ეს ასე იქნება, აუცილებელია! ამას შესძლებს ამირანი! ვუსურვოთ მას გამარჯვება!..

II

დრომ განვლო. ამირანს კვლავ გარს ეხვევიან, კვლავ იღვრება იმისი სისხლი. მაგრამ, ის მაინც ძლიერია, უწინდელზედ გაცილებით ძლიერი! წინეთ თუ პირქვე ეგდო და ისე ჰკორტნიდენ, ეხლა მუხლის თავებზე წამომდგარა და მრისხანედ გამოიციქრება.

ვაშა, შეუდრეკელო, ვაშა, რომ ძალა გაგიათკეცვია, მტერს არ დაჰმონებინარ!..

არ სძინებიათ, არც მის სისხლის მსმელებს, მათი ხროვაც გაზრდილა, გაფართოვებულა... აგერ მელია, გველი, არწივი და კიდევ მრავალი სხვა... ყველა ესენი ხომ წინედ არა სჩანდნენ?!

ღიახ, გამრავლებულანი!.. ამირანიც მუხლებზე წამომდგარა, მტარვალთათვის საზარელი, თავ-ზარ დამცემი სახე მიუღია. ისინი ისე თავისუფლად ველარ ბედავენ მის კორტნას!.. ემინიათ!.. წინეთ თუ სულ ზედ ასხდენ, ეხლა მაღლით დასტრიალებენ და იქიდან ჩამოუქროლებენ ხოლმე ხორცის ამოსაკორტნად...

შეხედეთ!.. მუხლებზედ წამომდგარს ხელების ქნევაც კი დაუწყვია! ვაშა!.. აგერ, ერთ ყვავს რა მძლავრად მოზნო ხელი... სისხლის მსმელებს თავ-ზარი დაეცათ!.. შეუდგნენ საშუალების გამოანხვას, რომ გაურჩეული კვლავ დაემორჩილებინათ და მუდმივი საზრდო არ მოსპობოდეთ.

ზოგმა რა სთქვა, ზოგმა რა; ზოგმა რა გამოანხა, ზოგმა რა, მაგრამ ყოველივე ცდა ფუჭი გამოდგა! ურჩობს ამირანი!.. იბღვირება, მრისხანებს, თან და თან უფრო მძლავრად იქნევს მკლავებს... გარს შემოხვეულთ გზა-კვალი დაეზნათ, გული საშინლად აუკანკალდათ... თრთიან საცხადენი!..

ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ვერაფერ აიტანს მუდმივ ტანჯვას. ერთხელაც იქნება ტანჯული მტანჯველს გაუსწორდება და სასტიკ მსჯავრს დასდებს!..

ღიახ, ამირანიც უსწორდება... იბრძვის!.. იმედი აქვს გაიმარჯვებს!..

ვაშა, დაუდგრომელო!..

III

განვლეს მრავალმა საუკუნოებმა! ყოველივემ

ფერი იცვალა. სულ სხვანაირად გვეჩვენება მზე, მთვარე და ვარსკვლავები!..

ამირანი?! ის რაღას სჩადის? სისხლის მსმელებს ხომ კვლავ ფეხქვეშ არ ჩაუვდიათ და ზედ არ დანავარდობენ? ხო? არა ჰდაფავს ძლიერი სულსა და აბიბინებულს, გამხიარულებულს ქვეყანას სამუდამოთ არ ესალმება?—

ოჰ, არა მეგობრებო! ის უფრო გაძლიერებულია, გაამაყებულა და რაც უმთავრესია, ფეხზედაც წამომდგარა, წელში სრულიად გასწორებულა!.. აბა, შეხედეთ, რა ამბავი აქვს, რა მარჯვედ იქნევს თავის მაგარ კუნთოვან მკლავებს და როგორ გულდა გულ ებრძვის თავი შეურიგებელ მტერს. ამ ბრძოლის შეოხებით დედამიწა ზანზარებს...

უყურეთ რამდენი დახოცილი ცვივა ძირს!.. გაიგსო იქაურობა!.. ეკეთენ ამირანს ყვავი, ყორანი, დათვი, მელია და სხვა ამგვარები.

მაგრამ, გარწემო კიდევ ბლომად ახვევიან, ჯერ კიდევ მრავალი ებრძვის უძლეველს!.. ამირანი მაინც არ დრკება!.. ატყობს თავის გამარჯობას... ცოტაც... ცოტაც... ვაშა!!!

მტრებს სძლია ამირანმა. ყველანი შემუსრა. მძლავრ ფრთებიანი ორში მის ფეხ-ქვეშ გდია გულგანგმირული! ვაშა! მიფულოცოთ ძლიერს, ძალმომრეობის და ყოველგვარ ბოროტების დამთრგუნველ ამირანს!..

სსუ! შეხედეთ!..

ამირანი დახოცილთა გროვებზე შედგა, მალა აიღო თავისუფალი, ამაყი თავი და თვალებ გაბრწყინებულმა გამარჯვების დროშა მალა ჰაერში ააფრიალა, რომლის კალთები მთელ ქვეყანას გარდაეფინა და რომელზედაც დიდის ოქროს ასოებით ასე ეწერა: „ძმობა, ერთობა და თავისუფლება...“

ღიახ, ყველა ეს ამირანის დაუდგრომელმა ბუნებამ მოიპოვა. ნეტარებს სამყარო!.. იგი ქებადიდება უგალობს ტანჯვა ვაებას, უსამართლობის დამამზობელს და ყველას განმათავისუფლებელ, ბედნიერების დამამყარებელს, შარავანდელით გარშემორტყმულ გმირს—ამირანს!..

გამარჯვების დროშა კი მხიარულად ფრიალებს!

დ. ელ—შიგლი.


ორი მიცვალებული

თავადის კუბო მიჰქონდათ, ესვენა მიცვალებული... მას სომხის კუბოც მისდევდა, შევიქმენ განცვიფრებული!

თავადი მოსწყდა ამ სოფელს, დამარხეს ერთის ბისტითა!

მაინც სომეხი თან მისდევ „ისპოლნიტელი ლისტითა“.

აღა-სიფთა.



ამიერ კავკასიის რკინის გზის ვაგონებში ისე თბილა, რომ მგზავრები იფიჩხებიან.

**სიმღერა**

ვერ შემაშინებს სიმწარე,  
 ციხე და საღრჩობელაო;  
 გადასახლება ციხბირში,  
 ოდელა-დელი-დელაო!

გულს ვერ გამიტეხს ძმის ჩაგვრა  
 ირკუტსკი, არხანგელიო,  
 იქაც ამ რწმენის დავრჩები,  
 ოდელა-დელი-დელიო!

მრწამს სხივი თავისუფლების  
 გულს ჩავვრჩენია ყველასო,  
 ის მოგვანიჭებს „სამოთხეს“,  
 გვამღერებს დელი-დელასო!

ისიც მრწამს — დაქსაქსულები  
 ერთად შეკრება ყველაო,  
 მონობის ბორკილს დაღეწავს  
 ერთობა! დელი-დელაო!

დროშა ჩავრულთა საერო  
 აფრიადდება ნელაო,  
 მის ქვეშ მამულის შვილები  
 იმღერენ დელა-დელაო!

სამშობლოს მრავალ წამებულს,  
 მიეშველება ყველაო,  
 კლასობრივ ბრძოლა არ გვიშლის  
 მის სამსახურსა... დელაო!

ტ. მგელაძე.

**მამა მათე**

(ნაწყვეტი მოთხრობიდან „ეკლესიის გარშემო“)

ზამთარი თავ მომამბეზრებელი სულოსა ლაფავდა. ბუნებას თავი დაედწია გულის შემღონებელ მარწუხებიდან, შვევით სუნთქავდა. ჰაერში სითბო მატუ-

ლობდა, დედა მიწა პირს იწმენდა. თაქედგებოდა, გამოსაფხიზლებლად ემზადებოდა. სოფელსაც მომეტებული სიფხიზლე დასტყობოდა, ხალხი მინდვრებში გამოსულიყო, მუშაობას შესდგომოდა, სახლის ერდოებს ორთქლი ასდიოდა, კარ მიდამოები შემშრალიყვენ. აქა იქ ლობეებ ქვეშ დარჩენილი მყრალი თოვლი მეტ მწუხარებისგან თან და თან ილეოდა. დრო და დრო ჰაერში გაისმოდა მხიარული ჭიკჭიკი ფრთოსანთა, რომელნიც გაზაფხულს ულოცავდნენ ბუნებას. ქალებს თავი მოეყარათ კარებზე, სადმე მოხერხებულ მშრალ კუთხეში, წინდასა ქსოვდნენ, თან ერთმანეთს უზიარებდნენ დღევანდელ გულში ნადებს.

— ფეფა, შვილო, სახლს არ მოშორდე, საცაა განდობისას დარეკვენ! მოუბრუნდა ბაბაღე თავის პატარა გოგოს, რომელიც გვერდში ამოსდგომოდა და გულმოდგინებით უსმენდა მობაასეთ.

— ნეტაი შენა, ბაბაღე, რომ სულის საქმეს მორჩები; რამდენი ხანია მეც ვაპირებ და აქამდის ვერ მომიხერხებია, უთხრა თებრონიამ და შეხედა შუახნის მანდილოსანს, რომლის კარებთანაც ქალებს თავი მოეყარათ.

— ეჰ, ჩემო თებრონია, ამისთანა ზიარებასაც მადლი არა აქვს!.. ეკლესიაში შედიხარ, გინდა პირჯვარი დაიწერო, სასოებით ილოცო, შესწივლო უფალს შენი გაჭირება, მაგრამ, როდესაც ეკლესიაში ხედავ მათე ღვდილს, ყოველი სურვილს ლოცვისა გიქრება. მეტადრე, როდესაც მომავანდება, იმდღეს როგორი გახეთქილი მოჰყავდათ კაცებს დუქნიდან, რა უწმაწურის სიტყვებით ილანძღებოდა, სულ მაგიწყდება რომ ღვთის სადიდებლად მოვსულვარ. ღმერთო, ამ სიტყვებს ნუ მიწყენ!.. დაუმატა ბაბაღემ და მალლა აიხედა.

— აფსუს, იოსებ ღვდელიო! ცოდო არ არის, შენ ეხლა კკუაზედ შეშლილი ხარ! რა საყვარლად ჩააკრიალებდა ხოლომე სახარებას ის სულგანათლებული! როდესაც მამა შვილურად მოგიყვებოდა დარიგებას, მაშინ ხომ მთელს სხეულში ჟრუანტელი დაგივლიდა ხოლომე და გეგონა, თითონ შენ კითხულობდი სახარებასა!.. წარმოსთქვა მესამემ.

— ღმერთსაც სამართალი არა ჰქონია, რომ მისი მაგიერობა მათეს დაულოცა, იმსულის მტერსა!

— იმითვინაც მიდის ხალხი რუზრუხით ეკლესიაში!.. ორი წელიწადია, რაც მათე ჩამოთესილა, ეკლესიას მლოცველი დაუფრთხო. იმ დღეს ჩემი კაციც ამბობდა. არ მახსოვს იმას როდისმე ღვდელზე ცუდი რამ ეთქვას და ეხლა კი სულ აქეთ-იქათ იფურთხება, რთდესაც გავუხსენებ:— წადი საყდარში, პირჯვარი დაიწერე მეთქი. ცოდო არ არის ეხლა რომ იმ დროულ კაცს ისე გუ-



**ქალი.** რას ჩამატკერდით?

**ვაჟი.** თვალებს ვერ ვაშორებ თქვენს „დეკოლტეს“... ფეიქრობ, თუ ნახევრად განხილი ასე მშვენიერი ხართ, სულ რომ...

**ქალი.** კმარა, ნულა განაბრძობთ!

ლი აეყარა და საყდირში წასვლა ეზარება?.. ჯეილი ბიჭები ხომ სულ გადაირივნენ, იღრიჭებიან და იძახიან:

— მოგიცლიათ!.. სად არის ღმერთი!.. რის ღმერთი, რის ხატი?.. ღმერთი რომ იყვეს, განა მათე ღვდელს საყდარში შეუშვებდნენ?..

— მართალსაც ამბობენ, მე და ჩემმა ღმერთმა!

— ნაუ! ნაუ! ნაუ!.. გამსმა ამ დროს ზარის რეკა.

ქალებმა ლაპარაკი შესწყვიტეს.

— ფეფა, შალი გამომიტანე!.. შესძახა ბაბა-ლემ შვილს. ქალები დაიშალნენ. ზარის ერთგვარი რეკა კარგა ღანს ისმოდა და ბოლოს მიწყდა.

ეკლესიის ეზოში ძალიან ცოტა მლოცველები მოსჩანდნენ.

ქალები ერთმანეთს უყურებდნენ, თითქო ეთავაზებოდნენ საყდარში შესვლას.

— დიდდო, თქვენ უფრო ყველაზე ადრე მობრძანებულხართ და თქვენ ყველაზე ადრე უნდა შებრძანდეთ! უთხრეს ქალებმა ერთს ძალზე მოხუცებულს, რომელიც ნახევრად დაუსინათლოებული ჯოხზე დაყუდებულიყო და რაღასაც თავისთვის ჩიფჩიფებდა.

— რაო, შვილო? მე შევიდე?.. იკითხა ამან, აილო თავი მაღლა და შეხედა მოლაპარაკეთ.

— ჰო, დიდდო, ჯერ შენ გაენდე და მერე ჩვენ შემოვალთ.

ღვდამბერი ჯოხის კაკუნით წავიდა, მაგრამ საყდრის კარებში ისევ შეჩერდა, თითქოს შესვლას ვერა ბედავდა

— მობრძანდი, დედი, რა პატარაძალსავეით მოცხოვრებ? ღვდელი ლოდინით დაიღალა, უთხრა დიკვანმა, როდესაც ეკლესიიდან გამოდიოდა.

— რა ვიცი, შვილო, იქნება ჯერ კიდევ დრო არ არის!.. წაილაპარაკა მოხუცებულმა.

— დროა! დროა! მობრძანდი!.. მოისმა ღვდლის ხმაც.

— მამა მათე იდგა საწიგნის წინ და მალ მალ იხედებოდა კარებისკენ. აგერა თვალი მოჰკრა მოხუცებულს და სახეზე უკმაყოფილება დაეტყო. მან პირველად შუბლი შეიკრა; ისედაც კუშტიულაზათო სახე რაღაც უნდობლობას ხატავდა, ჩაწითლებული, დასიებული სახე, უწამწამო, წვრილი თვალეები სრულიად არ იკარებდნენ სარწმუნოებრივ სასოებას.

ღვდამბერი გაუბედავად მიუახლოვდა ღვდელს და დაიწყო პირჯვრის წერა.

ღვდელმა ოლარი გაისწორა.

განდობამ დიდ ხანს არ გასტანა. როდესაც ღვდამბერმა გაათავა, რამდენჯერმე მუხლი მოიყარა და წამოდგა ზეზე, ათრთოლებული ხელი წაიღო ჯიბისკენ.

ესლა კი მათე ღვდელს სახეზე მოშორდა და უდევრობა და ყურადღებით მისჩერებოდა მოხუცებულს, რომელსაც უძნელდებოდა ჯიბიდან ხელის ამოდება, თითქო ვერ ბედავდა, რიღასიც ეშინოდა

— ოხრად დარჩეს სიღირიბეი, ღარიბი ყველას წინ პირშავია!.. ნურას უკაცრავად, მამაო, თუ ფულის მაგიერად ეს მოგართვით! არ წაწყდეს ეს ჩემი სული, ესეც ამ ერთ კვირეში გაქირებით შევაგროვე, მაგრამ მაინც გავბედე მომერთმია, რადგან ესეც ფულია!

ჩიფჩიფებდა ბებერი და თან ჯიბიდან თითო თითოდ კვერცხებს ალაგებდა.

მამა მათეს ჯერ ღიმილი მოუვიდა და შემდეგ ისევ მოიღუშა; ეტყობოდა სასყიდელი არ მოეწონა.

— რათა სწუხდებოდი, ჩემო დედი, ჯერ მაინც ეს ჩემი ხატები არ აკრუხებულან; მანამ ხომ ეგ კვერცხები გალაცდებიან! უთხრა მან.

ღვდამბერმა გაცხებით შეხედა მოძღვარს, მერე თითქო შეშინებულმა თვალი მოავლო ეკლესიის და წელში უფრო მოიხარა.

— უი, დედქით თვალეზო, მაგას რასა ბძანებთ, ღვდელიო; არ წავწყდე, აბუჩად ასაგდე! ათ არ მომიტანაი ეს კვერცხები, რა ვქნა, ფული არ შემესწრო და ჩემ დროულ დედაკაცის უზიარებლად დარჩენა კი ძნელი იქნებოდა.

მათე ღვდელს თითქო შერცხვა ღვდამბრის პასუხისა, კვალად გაიღიმა.

— რახან მოგიტანა დასტოვე, დედი; კიდევ

კარგი, რომ მთელეზია და ჯიბეში არ ჩაგმტვრევია! უთხრა თან დაცინვით. დედაბერმა აღარა სთქვარა, უკმაყოფილოთ შებღვირა ღვდელს და ჯოხის კაკუნით გამოვიდა ეკკლესიიდან.

მამა მათემ ცქვირსახოცში ჩ ალაგა კვერცხები და მისდო კუთხეში. როდესაც გამობრუნდა, გაიღიმა. წინ ედგა ახალგაზდა ქალი, მოხდენილი და მიწხიდველი. თვალეზი მორცხვად ძირს დაეხარა, მორჩილებით ელოდა ღვდლის კითხვებს.

მათე ღვდელი საჩქაროთ მივიდა საწიგნესთან, თვალეზი გაუბრწყინდნენ, ტუჩებზე მაცდურმა ღიმილმა შეუთამაშა.

— აგრე შორს რად გაჩერდი? ახლო მოდი! აღსარება ისეთი საიდუმლოებაა, რომ მე და შენს მეტმა არაინ არ უნდა გაიგონოს.

ღვდლის ლაპარაკმა ახალგაზდა ქალს უსიამოვნობა აგრძნობინა, მაგრამ მაინც მორჩილებით წაღდა წინ ფეხი. ღვდელმაც ქალისკენ მიიწია.

მამა მათემ პირჯვარი გადიწერა, წაიბურტყუნა მოკლე ლოცვა და მოუბრუნდა ქალს, რომელიც უძრავათ იდგა, თვალეზს მალლა არა სწევდა, გულში ენატრებოდა მალე გათავებულიყო ეს უსიამოვნო განდობა.

ამას შეესმოდა ღვდლის მოხშირებული ქმინვა, პირიდან ღვინის სუნის ამოსდიოდა, ქალი გრძნობდა, რომ ღვდლის თვალეზი რაღაც უცნარი ღიმილით აჩერდებოდნენ.

— გული გაუხსენ მოძღვარს, უფალი შეცოდებას გაპატიებს! ჩურჩულებდა ღვდელი. ქალი მაინც ვერა ბედავდა ხმის ამოღებას, არ იცოდა რა ეთქვა. ღვდელმა სულ ახლო მიიტანა სახე.

— ნუ გცხვენიან... მითხარი... მაგრამ, იქნება, სათქმელიც არა გაქვს რა?... ან კი რა ცოდო უნდა ჰქონდეს შენისთანა ახალგაზდა მშვენიერს, რომელიც ღვთის მშობელივით იყურები?... აღსარების უთქმელადაც გაზიარებ. წასჩურჩულა აღვლევებულმა მოძღვარმა და უცებ მისი ცუხები მიეწებნენ ქალის ლოყას. წუთს ქალი გაწითლდა, შემდეგ გაფითრდა და შეველსავით გახტა უკან. მან ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრო.

— ღმერთო, დამიფარე!.. ეს რა მომეფლინა? — ჩქარ-ჩქარა იმეორებდა ქალი და სირცხვილისგან ლოყები ეწოდა. ეგონა, მთელმა ქვეყანამ დაინახა ამისი შერცხვენა და თავლაფის დასხმა. ამას უნდოდა, დაესაჯა მღვდელი, მაგრამ რა ფერად? ქმრისთვის ეთქვა? როგორ ეთქვა? როგორ გაემხილა? არ ეთქვა და ჯავრი დღე და ღამ მოსვენებას დაუკარგავდა.

გაწვალებული ქალი გარბოდა სახლისკენ,

მღვდელი კი კვალად მაცდურად კარებისაკენ იყურებოდა. ამას სრულიადაც არ ემჩნევდა. მღვდელის თება; ეტყობოდა ასეთი საქციელი მხოლოდ ქალისთვის; ბევრჯელ ევარჯიშნა და ამ ვარჯისში ჯერ ფეხი არ დასცდენოდა.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარაისი.

### პასუხათ ბ-ნ ბასრს

(თავისივე რითმით. იხილე „ემ-მათრახი“ №12.)

„ღვადცატი ჩისლო“ დაიწყო,  
კი დღე გვითენდებოა,  
ჩვენი რითმაჩი ესდეკი  
საბჭოსკენ ემზადებოა.

წავიდა იქ მიეყუდა,  
სად კასსა ინახებოა  
და კასსას, ჩვეულებრივად,  
რითმებით ესალმებოა.

— „ღვადცატი ჩისლო“ გვეწვია,  
ფულები ჩვენც გვერგებოა,  
ასიანები გვიბოძეთ—  
ჩვენს ჯიბეს იამებოა.


„კასსაში ფული არ არის,  
ვიცი ეს გეწყინებოა,  
რომც შემოვიდეს ვერ მოგცემ,—  
მუშები მებრალებოა.“

„ხომ ხედავ მშიერ მწყურვალთა  
და გესმის ეს ვედრებოა;  
სამი დღე ასე დადიან  
და ვერ მივეციოთ შეებოა“

„პატარა ხანი გვაცადეთ  
და მერე ოქვენც გერგებოა.“  
მაგრამ ჩვენს ესდეს, რითმაჩსა  
ვინ მისცა მოთმინებოა.

განრისხდა აქ ინსპექტორი:  
„რას ქვია მორიდებოა!  
საწერ კალამი აიღო,  
რითმები იჯლანებოა.  
თითონ არ იცის რას ბოღამს,  
ან ვის რას ეწამებოა,  
გოროდოვოიც ახსენა  
და მიედ-მოედებოა.“

„ეშმაკის მათრახს“ უგზავნის  
— სიცრუე იბეჭდებოა.  
მუშის პარტიის ცნებანი  
სრულიათ ავიწყდებოა.  
თავისი ადლით მე მზომამს  
თვისას მე მეწამებოა;



ესდები არის—არ მივირს  
ტყუილის მოგონებაო.  
მამალი ინდოურივით  
ძალაზედ იფხორებაო.  
ჭკუის ოჩხარზედ წაბრძანდეს  
ეს უფრო მოუხდებოა...

ნესტარი.

**სურვილები ჟუთათურებისთვის**

მე ძლიერ კეთილი ადამიანი ვარ, ყოველ-  
თვის და ყველასთვის კარგი მსურს, თუ რა თქმა  
უნდა, არაფერი მეხარჯება. ამიტომ მე მსურს ახალ  
წლიდან მოისპოს ქუთაისში, სხვა—ქალაქებს თა-  
ვიანთი კეთილი მოსურნენი ეყოლებათ,—ყოველი  
ტაიჯვა და გაჭირვება. უმთავრეს ყურადღებას ვაქ-  
ცევ ჩვენ ახალგაზრდა მოსწავლე თაობას. ის გვა-  
გონებს საუკეთესო ხანას ჩვენის წარსულიდამ და  
მომავალში გვიქადის ჩვენი იდელების განხორციე-  
ლებას. ვუსურვებ მოწაფეებს: მათი სულის შემზუ-  
თავი გიმნაზია მხიარულ რესტორანად გარდაკეთე-  
ბულიყოს! ლაქიობას ნაჩვევი მასწავლებლები, შიგ  
მარდათ დარბოდნენ ჯამ-ჭურჭელით და ქიქა-ლო-  
ქებით ხელში; ისტორიკოსი და ფილოსოფოსი კლა-  
სის დამრიგებლების დახმარებით ცვრიან მწვადებს  
და ერობში ჩაკაზმულ-ჩახოხბილს ამზადებდნენ სამ-  
ზარეულოში, რომელსაც უწინ „პედაგოგიურ საბ-  
ქოს“ ეძახდნენ. რიონს სათავე გამოეცვალოს და  
თოვლიან მთის მაგივრად ლუარსაბ ყიფიანის მარ-  
ნიდან ეწყოს დენა; წიგნის მალაზიების მოწაფე-  
ბისათვის წაგნების მაგიერ „ბრაუნინგები“ გადმო-  
ეწყოს და კალმების ნაცვლად „ნიკელიანი პატრო-  
ნები“; ან კიდევ ქალაქის დარაჯებს ყველას ერთ-  
ბაზად საღათას ძილი მოვლინებოდეს, რომ მოწა-  
ფეებს იარაღების ხელში ჩაგდების დრო მისცემო-  
დესთ. ბოქაული მოწაფეებს მათრახით ბინებიდან  
ქუჩაში ერეკებოდეს და აიძულებდეს მათ ოცდა  
ოთხი საათი ქუჩაში სეირნობას და ექსპრობრიაციე  
ბის მოწყობას.

„ბაჩიშნებს“: ძმ. ზუბალაშვილებს ქუთაისისა-  
თვის ორმოც-და-ათი ათასი მანეთი შეეწიროს ქა-  
ლების პროგინაზიის ასაგებათ თფილისის უძღურ-  
თა თავშესაფარ სალის გეგმაზე.

ზამთარში ჩამოწმენილ სტუდენტებს: იაგორა ბარ-  
კალაიას მალე მიეგნოს მათი ბინისათვის მზითე-  
ზედ მოსალაპარაკებლად, ან კიდევ ჩვეულებრივი  
გოგრების მაგივრად ნამდვილი თავები გამოზომოდეს,  
რათა თავადაზნაურთა სტიპენდიების საქმეს ჰქონ-  
დეს დასასრული.

ბანქას მოთამაშეებს: კლუბში ბანქოს კოლო-  
ფების გაუქმებას.

მოქაიფე ახალგაზრდობას: განუსაზღვრელ კრე-  
დიტსა და სამ-ას სამოც-და-ხუთს ნაცნობს, ოჯა-  
ხისთავს, სხვა და სხვა სახელი რომ ელოყვას, გვირბ  
არ აქვს მნიშვნელობა.

კლუბს: ერთ გამოცდილ ბებია ქალის შეძენას  
ლოტოზედ მოსიარულე ფეხმძიმე მანდილოსნების-  
თვის.

კლუბის სტენას: მანოვს რომ ერთის ან ორის  
წლით მაინც ანბანი და ლექსები სრულიად და-  
ვიწყდებოდეს მისდა სადღეგრძელოდ და ჩვენდა სა-  
სიხარულოდ.

ქართულ სტენას: გამოჩენილიყოს სადმე ქვეყა-  
ნაზედ ისეთი დახელოვნებული დრამატურგი, რო-  
მელსაც ისეთი „არღანივით“ მოწყობილი პიესა დას-  
წეროს, რომ მისი შესრულებისთვის, არც ცოდნა,  
არც ნიჭი, არც მიმიკა, არც პლასტიკა და არც  
დიკცია იყოს საჭირო.

დასასრულ ვუსურვებ:

„ჩვენებურ „შრომასა და ფარს,“  
ზამთარ-ზაფხულ დარს,  
ქუთათური პოეტების  
მრავალ-ზმოვან ქნარს.  
მასთან მისი ენერგია  
არ წაელოს ქარს.  
ან ერთ თვეში პოლიციამ  
არ მიუგნოს კარს.“

ზაბუსტა.

**„ეშმაკის მათრახის“ მეწყინეს  
(წერილი რედაქციასადმი)**


ჩავაბარე თუ არა უკანასქნელი ეზამენი სტრასბურ-  
გის უნივერსიტეტში და მივიღე დიპლომი „suris utriusque  
doctor“-ისა, მაშინათვე გამოვქუსლე ჩვენს აწეწილ ქვეუნა-  
ში. ვფიქრობდი: ყველანი ერთმანეთზე აღრენილ-ამხედრე-  
ბულნი არიან და ჩემს ვექილობასაც სწორეო იქ ექნება გა-  
სავალი მეთქი.

არც მოვსტყუვდი.

სიღნაღში ჩამოსვლისას გავაკარ განცხადება ამერიკულ  
გემოვნებაზე. კლიენტები ჩემქივით მომაწყდნენ.

ადმიღობრივმა ბურგომისტრმა მომიტანა „ეშმაკის  
მათრახი“ და მთხოვა მეწყინესთვის დამენიშადღურებინა. მე  
ვექილის პოზა მივიღე, თავი მოვიდიდე, ჩავიკითხე „სიღნა  
ღელის ნატვრა“ და კლიენტის საამქლად წამოვიძახე მალ-  
ლა: „En arriere, შე პასკვილანტა!..“ გასამრჯელო ჯი-  
ბეს ვსდე, ბურგომისტრი ბავაცილე.

გულნაწყენი მეწყინე 2 თებერვლის „ეშმაკის მათრა-  
ხში“ ნატრობს: „ნეტავი... ქიზიყში ბამომაქცია“, ვითომ  
სხვაგან მყოფი ვარო და შემდეგ, ერთ სტრიქონს ქვევით კი  
გაიძახის: „აჰ, ჩვენში გამოჩნდნენ სამათრახნიო“ და სთვლის  
პირებს, ე. ი. გამოდის, რომ თვით იბი იმავე დროს ქიზიყ-  
შია. აი სწორედ ამისთანა ვაქბატონებს ქვიათ აბდა-უბდა  
გადასკუბდა!..



განმარტება მეტია!

განა ქალაქის თავის ვართანას ბრალია, რომ კასაში არაფერია? რა სიღნაღი, რა სხვა საგუბერნიო ქალაქები, ან თუნდა ჩვენი დედა ქალაქი თბილისი აიღეთ. განა თბილისს კასსა არ უცარიელდება ხოლმე? ვგონებ მანთუზ დევი რომელიღაც კასის „ფხინკს“ წასწყდომია!...—ეს თქვენ უკეთ გეცოდინებათ. ყველა კასაზე ღრომ იქონია გავლენა, მაშ დავეხსნათ ბურგომისტრს.


გაჯავრებული მეწყინე, რჯულისა და სამღვდლოების სიმძულვარით გაქდენთილი ცდილობს ყინი მოიკლას მათზე რითიმე და დაძველებულ ხრიკებით გამოდის მღვდელზე ზნეობა-სიწმინდის საკიყინებლად და საკვირველია რომ ის მეწყინე, რომელიც აღიარებს ზნეობას—წნილად, სიწმინდეს—იახურად, პატიოსნებას—ნიორად! ჩემო მეწყინე, სადაცა ნიშადურს დაუწვავს, წამალს იქ რო ვერ იღებ! ავიღია კრილოვის მაიმუნით სარკე და ჰროტავ რაღაეხსაც. მე კი ყურში აი რას გიჩურჩულებ:

„Чѣмъ кумушевѣ считать трудиться, не лучше-ль, მეწყინეჯან, на себя обратиться?“

ჰო, თავმოყვარეობა შენ თავზე არას ბალაპარაკებს, რა?—მაშინ შენს ამხანაგს კ—ეს, რომელიც 999 ფუთი, და 1/2 მისხალი თვით შეგნება მოჰფინა მთელ სიღნაღის მაზრის პროლეტარიატს და შემდეგ, დაიხურა—რა უჩინმაჩინის ქული, მფრინავ ხალიჩით, განქრა საღდაც სამის კლეოპატრაით... აქ ვსვამ ტოჩკას.

და თუ ლაზღანდარობას თავს არ დაანებებთ, ჩემდა უნებურად იძულებული ვიქნები, ამ ტოჩკიდან მოვყვე და ვამხილო თქვენ ფარდაში დამალულებიც. არ დაივიწყოთ, რომ თქვენკენ მორბიან, მოიჩქარიან და მოკაპასობენ ევმენიდები! ამიტომაც უმაღლესი ჯილდო „Grand-Prix“-ი მამგვარ საქმეებში თქვენთვის მიბოძებია.

პეტრე დარჩიაშვილი მაშინ დაეხსნება სოფელს, როცა უჩირქოდ გამოიყვანენ ყველა იმ ანგარიშებიდან, რომე-



განმარტება მეტია!

ლსაც, ადავებენ მას, ვითარცა მრავალბვარ სოფლის მოხელეს და მთავარ-ანგელოზის ეკლესიის ფულის შექმნისგან.

მართლა! ახლა მომამონდა. რაზე დამავიწყდებოდა თქვენი ჭირიმეთ! ის ის იყო მეწყინეს „სიღნაღელის ნატვრა“ დაემთავრებინა, ქუჩაში ბამოსულიყო; შეგვხვდი პირისპირ, თავზე ფეიდროზისი ბადასდიოდა, თავის თავს მუხაგეტად ჰგრძნობდა. მე არც ვაციე, არც ვაცხელე ამოვიღე ჯიბიდან საზომი ადამიანთა სულის ვითარებისა\*) შევეუდგინე მეწყინეს. საზომის საუცხოვო ბრადუაციაც აქვს. ერთ წამსა და ორ წუთის შემდეგ აი რა მიჩვენა: მეწყინეს სიმშვიდე და სიყვარული 0°, ზნეობა-სენდისიიაობა 0, 3°, მისი კრიტიკა საზიგადოებრივ ცხოვრებაზე 0, 8°, სწავლა-განათლება 4, 5°, ჭორაობა და ცილის წამება 39, 7°, ბრაზობა 42, 9°, მუქრობა კიდე 55, 1. ჰმ...

აშფაულუნ ინაქაზურ,  
ელაულუმ ნარი-ბარ,  
ახლა მე გცხებ ნიშადურსა,  
გაიქვითე, ბარი-ბარ. (2 ჯელ)

მონდობილობით,  
სტრასბურგელი ვექილი, ნეშტარ ნიშადუროვი.

\*) ეს ის საზომია, რომელიც ლაბორანტ შატვაიტმა გამოიბონა ჩემთან ერთად სტრასბურგში ყოფნის დროს, ხოლო სიჩქარისაგან წამოსვლის დროს თან გამომყოლია და საჭიროებისა ბამო ჯერ ვერ გამიბზანია ბოდიშით.  
ნეშტარა.

ვინც ერთი წლით „ნიშადურს“ გაიწვრავს, ყველას უფასოთ გაეგზავნებათ „ნიშადურის კრებული“ და აგრეთვე ყველა ძველი ნიშადურსი.

ხელის მოწერა მიიღება: წერა-კითხ. საზ. წიგნ. მაღ.

რედ--გამომცემელი ვალერიან გუნია.